

გენდერული მრჩევლის თანამდებობის სამუშაოს აღწერა

თანამდებობის მიზანი	
საქართველოს თავდაცვის სისტემაში გენდერული თანასწორობის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ პრინციპების დაცვა და ინტეგრირება	
სტრუქტურული ქვედანაყოფი	თანამდებობა
დასახელება	მრჩეველი გენდერის საკითხებში
დაქვემდებარება	
ხელმძღვანელი	პირდაპირი ხელმძღვანელი
კურატორი მინისტრის მოადგილე	ქვედანაყოფის ხელმძღვანელი
ფუნქცია-მოვალეობები	
<p>თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა</p> <ul style="list-style-type: none"> • თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის განხორციელებისთვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრასა და დაგეგმვაში მონაწილეობა. დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების კოორდინაცია შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში; • შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში მიერ თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება და თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტისთვის წარდგენა; • თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის გზების შემუშავებაში მონაწილეობა; • შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში არსებული შიდა რეგულაციების საქართველოს კანონმდებლობით და საქართველოს მიერ რატიფიცირებული და ხელმოწერილი ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით აღიარებულ გენდერული თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; • შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გადაწყვეტილებების მიღების პროცესისა და მიღებული გადაწყვეტილებების გენდერულ ჭრილში ანალიზის (ე.წ. გენდერული მენსტრინგის) უზრუნველყოფა; • უშუალო ხელმძღვანელისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაბამისი რეკომენდაციების გაწევა გადაწყვეტილების გენდერული თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით; • შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში დანერგილი განსაკუთრებით წარმატებული პრაქტიკის უკეთესად წარმოსაჩენად თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის 	

დეპარტამენტისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;

- კომპეტენციის ფარგლებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სხვა სახელისუფლებო უწყებებთან, და საზოგადოებრივ და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.

სტრუქტურულ ერთეულში გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა

- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში საქართველოს კანონმდებლობით და საქართველოს მიერ რატიფიცირებული/ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით განსაზღვრული ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებების და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და კონსულტაციების გაწევა;
- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში საქართველოს პარლამენტის დადგენილებებით დამტკიცებული ეროვნული სამოქმედო გეგმების („საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014 –2016 წლების სამოქმედო გეგმის“ და „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“), გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის და თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და კონსულტაციების გაწევა;
- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და ფასეულობების დაცვასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება და კონსულტაციების გაწევა.

სტრუქტურულ ერთეულში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სწავლებებისა და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა

- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში და ზოგადად, თავდაცვის სისტემაში გასავრცელებელი გენდერულ თანასწორობასთან და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან“ დაკავშირებული საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალის მომზადებაში მონაწილეობა;
- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გენდერულ თანასწორობასთან და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან“ დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრების/სწავლებლების გამართვა;
- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში სექსუალური და გენდერული ძალადობის (მათ შორის, სიტყვიერი) პრევენციის მიზნით სექსუალური და გენდერული ძალადობის ფორმებისა და შესაბამისი სანქციების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა;
- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და ფასეულობების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის ანალიზის ხელშეწყობა;
- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გენდერულ ჭრილში დამუშავებული სტატისტიკის (მათ შორის, დასაქმება, ხელმძღვანელი თანამდებობები, წახალისება, უფლებების დარღვევები და სხვ.) წარმოების უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფორმაციის თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტისთვის პერიოდულად მიწოდება.

სტრუქტურულ ერთეულში გენდერული დისკრიმინაციისა და გენდერული და

სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე ადეკვატურად რეაგირების ხელშეწყობა

- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მოძიება და კანონმდებლობითა და თავდაცვის სამინისტროს შიდა რეგულაციებით განსაზღვრული შემდგომი ქმედებების განხორციელების ხელშეწყობა;
- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის სტატისტიკურად დამუშავებასა და ანალიზში მონაწილეობა;
- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გენდერული და სექსუალური ძალადობის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში მსხვერპლისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება კანონით განსაზღვრულ შემდგომ ქმედებებთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში, საკონსულტაციო მომსახურების მიღებაში დახმარება;
- შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გენდერული და სექსუალური ძალადობის (მათ შორის, სიტყვიერი) შესახებ ინფორმაციის სტატისტიკურად დამუშავება-ანალიზში მონაწილეობა.

განათლება

განათლება	(სასურველი ტრენინგები)
უმაღლესი/საშუალო	გენდერული თანასწორობის სფეროში ტრენინგები; გენდერული მრჩევლის კურსი

ცოდნა

- საქართველოს კონსტიტუციის იმ მუხლების ცოდნა, რომლებიც ეხება ქალისა და მამაკაცის თანასწორობას;
- გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ რატიფიცირებული და ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ცოდნა;
- საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ ცოდნა;
- საქართველოს კანონის „ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ ცოდნა;
- გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის ცოდნა;
- საქართველოს პარლამენტის დადგენილებებით დამტკიცებული ეროვნული სამოქმედო გეგმების („საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014 –2016 წლების სამოქმედო გეგმის“ და „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №№1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“) მიხედვით თავდაცვის სისტემის ვალდებულებების ცოდნა;
- თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის ცოდნა;
- თავდაცვის სისტემის ზოგადი (მიზანი, მისია, პრიორიტეტები, სტრუქტურული მოწყობა) ცოდნა.

კომპეტენციები

კომპეტენციები	უნარები
---------------	---------

<p>კომუნიკაცია კონსულტაციების გაწევა</p>	<ul style="list-style-type: none"> - კომუნიკაციის უნარი (წერილობითი, ზეპირი) - აზრის ნათლად გადმოცემის უნარი - გულისხმიერი მოსმენის უნარი - ნეთვორქინგის (სხვა გენდერული მრჩევლებთან თანამშრომლობის და კოორდინაციის) უნარი - პრეზენტაციების და შეხვედრების ჩატარების/წარმართვის უნარი
<p>გადაწყვეტილების მიღება/ დამაჯერებლობა</p>	<ul style="list-style-type: none"> - გადაწყვეტილების მიღების და ხელმძღვანელის გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების მოხდენის უნარი - რელევანტური არგუმენტაციის დროულად წარდგენის უნარი - სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი
<p>პრობლემების გადაჭრა და სიღრმისეული ანალიზი</p>	<ul style="list-style-type: none"> - პრობლემის (გენდერულ საკითხთან დაკავშირებით) განსაზღვრის, ანალიზისა და დროულად გადაწყვეტის უნარი - სტატისტიკური ანალიზის წარმოების და ტენდენციების განსაზღვრის უნარი
სხვა უნარები	
<p>უცხო ენის ცოდნა</p>	<ul style="list-style-type: none"> - ინგლისური ენა (სასურველია)
<p>კომპიუტერული პროგრამები</p>	<ul style="list-style-type: none"> - MS Office (სასურველია)